პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 31

2014 წ. "30" 08

ქ.თბილისი

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 227770800) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	მხატვარ-შემსრულებელი	I	მხატვარ-შემსრულებლის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
2.	მხატვარ-შემსრულებელი	II	მხატვარ-შემსრულებლის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20

3.	მხატვარ-შემსრულებელი	III	მხატვარ-შემსრულებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
4.	მემინანქრე	III	მემინანქრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
5.	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი	I	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	15
6.	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი	II	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	15
7.	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი	III	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	15
8.	მევენახე-მეღვინე	III	მევენახე-მეღვინის (ვენახისა და მარნის სპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	87
9.	ფერმერი	IV	ფერმერის (სპეციალისტი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	93
10.	მეხილე	III	მეხილის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	49
11.	ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი	IV	ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	76

12.	ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი	III	ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	57

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 30 აგვისტოს №6 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე